



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



WORLD BANK GROUP

ევროკავშირის და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის
და ანგარიშვალდებულების ტექნიკური
დახმარების პროექტი

ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების შედარებითი ანალიზი და
შეფასება საქართველოში

საქართველო

კურიკულუმი, სწავლება, შეფასება და მართვა

თბილისი, ოქტომბერი 2020

შინაარსი

მადლობა.....	ii
ძირითადი აბრევიატურები და აკრონიმები	iii
რეზიუმე.....	4
I. შესავალი	7
II. მეთოდოლოგია.....	8
III. ქვეყნის და ინსტიტუციური კონტექსტი საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განათლებასთან დაკავშირებით	10
IV. ანალიზი, ძირითადი მიგნებები და გამოწვევები	14
V. რეკომენდაციები.....	26
დანართი 1. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განათლების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა	30
დანართი 2. პროექტის ვიზუალური გეგმა	33
დანართი 3. განათლების საერთაშორისო სტანდარტების რეზიუმე	34

მადლობა

ანგარიშში წარმოდგენილია დიაგნოსტიკური ანალიზის შედეგები საქართველოს უნივერსიტეტებში ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმების განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც მსოფლიო ბანკის მმართველობის გლობალური პრაქტიკის მიმართულების მიერ ჩატარდა ევროკავშირის - მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში. გუნდს ხელმძღვანელობდა ნატალია მანუილოვა (ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი). გუნდის შემადგენლობაში შედიოდნენ ირინა გორდელაძე, ნატალია კონოვალენკო (ფინანსური მართვის კონსულტანტები) და დევიდ ბრუკვილდი (განათლების კონსულტანტი). ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა ალფრედ ბორგონოვოს (ფინანსური მართვის უფროსი სპეციალისტი) ტექნიკური მითითებები.

შეფასება განხორციელდა მონაწილეობითი პროცესის მეშვეობით, რომელშიც ჩართულნი იყვნენ მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისის წარმომადგენლები და ადგილობრივი დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS), საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი/ GFPA), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი და სხვ. მსოფლიო ბანკის გუნდი განსაკუთრებულ მადლობას უხდის სამსახურის (SARAS) ხელმძღვანელს, იური დოლიძეს, მთავრობაში ამ ინიციატივის ეფექტური ხელმძღვანელობისთვის.

გუნდი თავის მადლიერებას ასევე გამოხატავს მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული დირექტორის სებასტიან მოლინეუსის, დენიელ ბოისის (პრაქტიკის მენეჯერი, მმართველობის გლობალური პრაქტიკა) და ევგენი ნაჟდოვის (პროგრამის ხელმძღვანელი, სამხრეთ კავკასიის, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი) მიმართ.

ძირითადი აბრევიატურები და აკრონიმები

ACCA	სერტიფიცირებულ ნაფიც ბუღალტერთა ასოციაცია
BBA	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
BSc	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი
CFRR	ფინანსური ანგარიშგების რეფორმების მსოფლიო ბანკის ცენტრი
CIMA	მენეჯერული აღრიცხვის ბუღალტერთა ინსტიტუტი
CIPFA	საჯარო ფინანსების და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტიტუტი
CPD	უწყვეტი პროფესიული განვითარება
EduCOP	პრაქტიკული განათლების საზოგადოება
EU	ევროკავშირი
GFPA	საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
HEI	უმაღლესი განათლების დაწესებულება
IAESB	ბუღალტრული აღრიცხვის განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო
IBSU	შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
IES	განათლების საერთაშორისო სტანდარტები
IFAC	ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია
IFRS	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
IPD	საწყისი პროფესიული განვითარება
IPSAS	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
ISA	აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები
ISU	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
MBA	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
MOF	ფინანსთა სამინისტრო
PAO	პროფესიონალ ბუღალტერთა ორგანიზაცია
PIE	საჯარო დაინტერესების პირი (სდპ)
SARAS	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური
STAREP	აუდიტის და ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში
TSU	ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე

1. ამ ანგარიშში შედარებულია სამი უნივერსიტეტის¹ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კურიკულუმები:

- ა. პროფესიონალი ბუღალტრებისთვის შემუშავებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IES); და
- ბ. საერთაშორისო აღიარების მქონე საბუღალტრო განათლების ორი პროვაიდერის (ACCA და CIPFA) კურიკულუმებთან.

2. შედარებითი ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები კურიკულუმის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ასევე მოიცავს შესაბამის მითითებებს სწავლების, შეფასების და მმართველობის პრაქტიკის მიმართულებით, რომლებიც მომზადდა რეკომენდაციების ეფექტურად განხორციელების ხელშესაწყობად.

მიგნებები და რეკომენდაციები

3. ძირითადი მიგნებები განსაზღვრავს და დადებითად აფასებს კურიკულუმებში ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, მაგრამ მიგვანიშნებს, რომ საუნივერსიტეტო კურიკულუმების უფრო მეტად დაახლოება თანამედროვე პროფესიონალებისათვის საჭირო უნარებთან მნიშვნელოვანი შემდგომი გაუმჯობესება იქნება. არსებითი წინსვლა აღინიშნა ბოლო წლების საუნივერსიტეტო სწავლების პრაქტიკაში სასწავლო მიზნების მიდგომის ჩასართავად. დახვეწილი კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად სწავლების შემდგომი გაუმჯობესება გააძლიერებს ამ ტენდენციას. უნივერსიტეტების მასშტაბით შეფასების პრაქტიკაში აღნიშნული ვარიაციები მიუთითებს განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) შესაბამისად შეფასების მიდგომების განახლების და კომპეტენციებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის ზუსტად ტესტირების უზრუნველყოფის საჭიროებაზე.

4. გამოვლინდა პროცედურების და სახელმძღვანელო მითითებების არსებობის საჭიროება, რომლებიც მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამების ყველა ასპექტს (კურიკულუმი, სწავლება და შეფასება). SARAS- ის სასერტიფიკატო მოთხოვნები და დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები ითვალისწინებს საერთო კურიკულუმს, სწავლების პრაქტიკის სტანდარტებს და შეფასების პროცედურებს, რაც ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პრაქტიკის სტანდარტიზაციას, მათ შორის, პროფესიული გამოცდებისგან გათავისუფლებას.

5. შედარების ანალიზი იყენებს პროფილირების ინსტრუმენტს კურიკულუმის დაფარვის შესაფასებლად. შედარების სტანდარტი ემყარება ბუღალტრული აღრიცხვის განათლების კარგ პრაქტიკას. ეს ინსტრუმენტი აკონკრეტებს თითოეულ მონაწილე უნივერსიტეტში სადიპლომო პროგრამების პროცენტულ დაფარვას შედარების სტანდარტის მიმართ მთელ რიგ ძირითად თემატურ სფეროებში.

6. მთლიანობაში შედარებითმა ანალიზმა კარგი დაფარვა გამოავლინა კურიკულუმებში შემდეგი საგნების მიხედვით:

- ბუღალტრული აღრიცხვა
- გარიგებების და მოვლენების გატარება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- აუდიტის ტესტირება

¹ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ისუ) და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (შზსუ)

- ფინანსური ანგარიშგება
- მენეჯერული აღრიცხვა

7. თუმცა, ანალიზმა გამოავლინა ნაწილობრივი და არათანაბარი დაფარვა კურიკულუმებში შემდეგი საგნების მიხედვით:

- მენეჯმენტი და ეთიკა
- ფინანსური მართვის პრინციპები
- ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი და ინტერპრეტაცია
- მართვის ტექნიკა
- საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება

8. ეს ანგარიში ეყრდნობა მსოფლიო ბანკის პრაქტიკული განათლების რეგიონული საზოგადოების (EduCOP) ძირითადი ქართველი დაინტერესებული მხარეების მიგნებებს, რომლებიც განახლდა დაინტერესებული მხარეების შემდგომი კონსულტაციების შედეგად. ისინი:

- ხაზს უსვამს კურიკულუმების შემდგომი განვითარების საკვანძო სფეროებს;
- მიუთითებს უნივერსიტეტის მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების გაუმჯობესების და სახელმძღვანელოების დახვეწის საჭიროებაზე;
- მიანიშნებს პროფესიული სტანდარტების შესაბამისი საერთო საგამოცდო (შეფასების) პროცედურების შექმნის აუცილებლობაზე;
- გვთავაზობს ყველა დაინტერესებული მხარის სრულად კოორდინირებულ მიდგომას, რომ უზრუნველყოს შემოთავაზებული რეფორმების მდგრადი განხორციელება.

9. აღნიშნული შედარების და EduCOP- ის დაინტერესებული მხარეების განახლებული მიგნებების საფუძველზე, შემდეგი ღონისძიებები იქნა რეკომენდებული უნივერსიტეტებისთვის, მარეგულირებელი ორგანოებისა და PAO- ს მხარდაჭერით, საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად შემდგომი განვითარებისთვის და ბუღალტრული აღრიცხვის განათლების მაღალი მდგრადი ღონის მისაღწევად საქართველოში:

- კომპეტენციებზე დამყარებული კურიკულუმის მიდგომის გაძლიერება, რომელიც ზოგადად უკვე გამოიყენება საბაკალავრო/ სამაგისტრო პროგრამების მიმართ სასწავლო პროგრამის მეტად დაახლოებით განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული ნიშნული) და ბაზრის და დამსაქმებლების განვითარებად საჭიროებებთან.
- კომპეტენციებზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო სწავლებისა და სწავლის მეთოდების გაუმჯობესების მხარდაჭერა, დამსაქმებელთა მიერ თანამედროვე პროფესიონალებისგან მოთხოვნილი უნარებისა და კომპეტენციების საპასუხოდ.
- შეფასებების შემუშავება, რომლებიც მკაფიოდ ამოწმებს კომპეტენციებზე დაფუძნებულ კურიკულუმში აღწერილ უნარებს და კომპეტენციებს ხარისხის სტანდარტების გათვალისწინებით (მაგ. განათლების საერთაშორისო მე-6 სტანდარტი).
- სამუშაო ჯგუფის (WG) შექმნა ძირითადი დაინტერესებული მხარეების და ახალი ადმინისტრაციული და მმართველობითი მექანიზმების მხარდაჭერით. სამუშაო ჯგუფი ახდენს ფართოდ მიღებული განათლების მინიმალური სტანდარტების (კურიკულუმის მოდელი, სწავლების მეთოდები, შეფასების პროცედურები) შემუშავების და შენარჩუნების კოორდინაციას საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განათლების მიმართულებით შემოთავაზებული

რეფორმების განსახორციელებლად. სტანდარტების დანერგვა გამყარებული უნდა იყოს ხარისხის ეფექტური კონტროლით.

ანგარიშის კონტექსტი

10. ეს ანგარიში მომზადებულია 2014 წელს საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან გამომდინარე რეფორმების კონტექსტში. ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით განათლება რეფორმის ერთ-ერთი სფეროა და მოითხოვს მჭიდრო თანამშრომლობას განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უნივერსიტეტებს, მარეგულირებლებს, პროფესიულ ორგანიზაციებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

11. 2015 წლის მსოფლიო ბანკის ანგარიშით საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებისა და კოდეზის შესრულების შესახებ (ROSC)² შემოთავაზებული იყო ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლებას და პროფესიის საჭიროებებს შორის ნაპრალის შემცირება, ისევე როგორც სხვა რეფორმების გაგრძელება ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგების და აუდიტის მიმართულებით. ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული განათლების წამყვანი პროვაიდერების შედარების საშუალებით საერთაშორისო სტანდარტებთან და დახმარებით ღონისძიებების განხორციელებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

12. ეს ანგარიში შემუშავდა საქართველოს ფინანსური ჩართულობისა და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ ევროკავშირთან პარტნიორობით. ამ პროექტის მე-4 კომპონენტი მოიცავს საქართველოში ბუღალტრული განათლების ხარისხის ამაღლებას. ქართველ პარტნიორებს შორის, რომლებიც სარგებელს მიიღებენ ბუღალტრული განათლების ხარისხის ამაღლებით, არიან: საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის, მართვის და ადმინისტრირების სკოლა; თავისუფალი უნივერსიტეტი (ESM); შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; კავკასიის ბიზნესის სკოლა; საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (GFPAA), საქართველოს ბუღალტერთა, აუდიტორთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია (GFAAFM), ბუღალტერთა, აუდიტორთა და კონსულტანტთა საზოგადოება, საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა ასოციაცია და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (SARAS).

² ანგარიში საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებისა და კოდეზის შესრულების შესახებ (ROSC 2015) ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://documents.worldbank.org/en/publication/documents-reports/documentdetail/254551468189259272/georgia-report-on-the-observance-of-standards-and-codes-accounting-and-auditing-a-rosoc>

I. შესავალი

1. განვითარებადი ქვეყნები მნიშვნელოვან ძალისხმევას მიმართავენ ბიზნესგარემოს გაუმჯობესების, ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდის და გამარტივების, ფინანსური სექტორის გაძლიერების და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით. ეს განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლის გენერაციას, სოციალური შედეგების უზრუნველყოფას და ინვესტიციების მოზიდვას. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მთავრობის ეფექტურობის და ანგარიშვალდებულებისთვის, ბაზრები ეფექტიანად უნდა ფუნქციონირებდნენ; ეკონომიკის ზრდისთვის აუცილებელია საიმედო და სანდო ფინანსური ინფორმაცია; ჯანსაღი საბუღალტრო განათლების სისტემა კომპეტენტური პროფესიონალი ბუღალტერების მომზადების საფუძველია, რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის ფინანსური ინფორმაციის წარსადგენად.

2. ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამები ხელს უწყობს ტექნიკური კომპეტენციების, პროფესიული უნარ-ჩვევების, პროფესიული ფასეულობების და ეთიკური და პროფესიული დამოკიდებულების განვითარებას თანმიმდევრული ჩარჩოს საშუალებით, რომელიც შედგება საუნივერსიტეტო ან კოლეჯის ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებისგან, საწყისი პროფესიული განვითარების (IPD), როგორც პროფესიული კვალიფიკაციისა და სერტიფიცირების ნაწილისგან, და კვალიფიკაციის შემდგომი უწყვეტი პროფესიული განვითარებისგან (CPD) სტანდარტების შესანარჩუნებლად. ამგვარი საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც წესი, შემუშავებულია IES- ის და საერთაშორისო კარგი პრაქტიკის შესაბამისად.

3. კოორდინაცია სხვადასხვა საგანმანათლებლო პროვადერებს და დამსაქმებლებს შორის აუცილებელია, იმისათვის რომ უზრუნველყოფილი იყოს თანმიმდევრული და კარგად ჰარმონიზებული საგანმანათლებლო ჩარჩო, რომელიც პასუხობს ქვეყნის განვითარების საჭიროებებს და აკმაყოფილებს ძირითადი დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს და ფართო საზოგადოების ინტერესებს. საგანმანათლებლო პროცესის თითოეული ელემენტი უნდა ემყარებოდეს წინა კომპონენტებს. როგორც წესი, სასერტიფიკატო პროგრამები გთავაზობთ ჩათვლებს იმ სასწავლო მიზნებთან დაკავშირებით, რომლებიც შესრულდა სხვა კომპონენტების გავლისას, როგორიცაა მაგალითად საუნივერსიტეტო განათლება. ანალოგიურად, მონიტორინგისა და შეფასების სისტემა ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების ყოვლისმომცველი ჩარჩოს არსებითი ელემენტია, სტანდარტების თანმიმდევრულობის, შენარჩუნების და განვითარების უზრუნველსაყოფად. ჩარჩო უნდა განახლდეს და გადაისინჯოს საჭიროებისამებრ, პროფესიული მიზნებისთვის, დეტალური მიმოხილვით ყოველ 3 – 5 წელიწადში ერთხელ.

4. ეს დიაგნოსტიკური ანგარიში მომზადდა ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური ჩართულობის და ანგარიშვალდებულების ტექნიკური დახმარების ერთობლივი პროექტის ფარგლებში. შეფასება მოიცავს სამ შერჩეულ ადგილობრივ უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმების შედარებით ანალიზს განათლების საერთაშორისო სტანდარტების და საერთაშორისო აღიარების მქონე ორი ორგანიზაციის, სერტიფიცირებულ ნაფიგ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) და საჯარო ფინანსების და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტიტუტის (CIPFA), კურიკულუმების მიმართ. სადიაგნოსტიკო შეფასებას დაემატა: i) ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნების მიმოხილვა და შემდგომი შეხვედრები SARAS- თან და პროფესიულ ორგანიზაციებთან; და ii) კვლევაში მონაწილე სამ უნივერსიტეტში სწავლების, შეფასებისა და მართვის მექანიზმების განხილვა და შეფასება.

5. შეფასების საერთო მიზანი იყო: (i) ბუღალტრული აღრიცხვის არსებული საუნივერსიტეტო კურიკულუმების ძლიერი და სუსტი მხარეების, ისევე როგორც სწავლების, შეფასების და მართვის მექანიზმების იდენტიფიკაცია ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო ჩარჩოს ფართო კონტექსტში; და (ii) კურსდამთავრებულთა მზადყოფნის განსაზღვრა შრომით რესურსებში ჩართვის

თვალსაზრისით. ამოცანას შეადგენდა საგანმანათლებლო ჩარჩოს განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებების იდენტიფიკაცია და შეფასება უნივერსიტეტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის განათლების უზრუნველყოფაზე ფოკუსირების საშუალებით და ამით პროფესიონალი ბუღალტრების შესაძლებლობების განმტკიცება, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად განხორციელების თვალსაზრისით.

II. მეთოდოლოგია

6. კურიკულუმების დიაგნოსტიკური შეფასება ჩატარდა მსოფლიო ბანკის მმართველობის გლობალური პრაქტიკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმების ცენტრის (CFRR) მიერ შემუშავებული "საბაკალავრო ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის პროფილირების ინსტრუმენტის" გამოყენებით. პროფილირების ინსტრუმენტი არის მოდელი, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის საუნივერსიტეტო პროგრამებს შერჩეულ საერთაშორისო ნიშნულებს ადარებს. შერჩეული საერთაშორისო ეტალონებია განათლების საერთაშორისო სტანდარტები (IES) და ACCA და CIPFA პროფესიული კვალიფიკაციების კურიკულუმები. IES 2 *საწყისი პროფესიული განვითარება - ტექნიკური კომპეტენცია* იყო ძირითადი ეტალონი, რადგან ის შეიცავს კომპეტენციის მოთხოვნებს საგნების ფართო დიაპაზონისთვის რომლებიც ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლებისთვის რელევანტურად მიიჩნევა. ჩატარდა უფრო ფართო შედარება IES 3 -ის (*საწყისი პროფესიული განვითარება - პროფესიული უნარები*) და IES 4 -ის (*პირველადი პროფესიული განვითარება - პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა*) მიმართ, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო პროფესიული უნარ-ჩვევები და ღირებულებები, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამებისა და შემოთავაზებული რეფორმების პრაქტიკული თვისებები. ACCA პროგრამა შერჩეულ იქნა როგორც გლობალურად აღიარებული კვალიფიკაცია, რომელიც გამოიყენება ბევრ ქვეყანაში და რომელსაც აქვს კავშირი აკადემიურ ბუღალტრულ პროგრამებთან. CIPFA -ს პროგრამა გამოყენებულ იქნა როგორც საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების ძირითადი ეტალონი, რომელსაც მოპოვებული აქვს საერთაშორისო აღიარება. ამ ანგარიშის მე -3 დანართში წარმოდგენილია განათლების საერთაშორისო სტანდარტების მოკლე შინაარსი.

7. შედარება არის დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, რომელიც ამ შემთხვევაში აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება საუნივერსიტეტო კურიკულუმის სასწავლო მიზნები პროფილირების ინსტრუმენტის ეტალონით განსაზღვრულ სასწავლო მიზნებს.

8. შეფასებაში მონაწილეობის მისაღებად შეირჩა სამი ქართული უნივერსიტეტი:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (<https://www.tsu.ge/>),
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (<https://iliauni.edu.ge/ge/>), და
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (<http://www.ibsu.edu.ge/ge/>).

9. შედარებითმა ანალიზმა გაითვალისწინა სამივე უნივერსიტეტის საბაკალავრო (BSc) საბუღალტრო პროგრამის კურიკულუმის შინაარსი, მათი სასწავლო მიზნები და მათი ცოდნის დონე, ეტალონებთან შესაბამისობის ხარისხის დასადგენად. სამი უნივერსიტეტიდან ორის სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმები დამატებით იქნა განხილული ანალიზში.

10. შეფასების პროცესი სამ ეტაპად წარიმართა: 1) უნივერსიტეტების მასალების წინასწარი ანალიზი და კურიკულუმების საწყისი შესაბამისობის დადგენა პროფილირების ინსტრუმენტის გამოყენებით; 2) შეხვედრები უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, პროფილირების ინსტრუმენტის წარსადგენად და მათი შესაბამისი კურიკულუმების საწყისი შესაბამისობის განსასაზღვრად, რომელსაც მოჰყვა დისკუსია და

ერთობლივი მუშაობა შედარების განსახორციელებლად; და 3) უნივერსიტეტების მიერ თვითდიაგნოსტიკა დამატებით საუნივერსიტეტო მასალების გამოყენებით, რომლებიც მიზნად ისახავს შედარების პროცესის დასრულებას, რასაც შედეგების პრეზენტაცია მოჰყვება. სადიაგნოსტიკო ანალიზმა მოიცვა ხარისხის პროგრამების ყველა მოდული, არჩევითი საგნების ჩათვლით.

11. უნივერსიტეტის თანამშრომლებთან შეხვედრის დროს, დეტალურად განიხილეს ინფორმაცია თითოეულ უნივერსიტეტში ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის სწავლების, შეფასების და მართვის შესახებ. შედეგად, წარმოდგენილია ამ სამი სფეროდან თითოეულთან და ამასთან ერთად კურიკულუმთან დაკავშირებული მიგნებები და რეკომენდაციები.

III. ქვეყნის და ინსტიტუციური კონტექსტი საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განათლებასთან დაკავშირებით

12. 2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ მოდერნიზაციის მიზნით დაიწყო ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელება განათლების სისტემაში. განათლება ძირითადად საჯაროა ნახევარ მილიონზე მეტი სტუდენტით სისტემაში. საქართველოში განათლება სავალდებულოა 6 – 14 წლის ასაკის ყველა ბავშვისთვის. სასკოლო სისტემა იყოფა დაწყებით (6 წელი; ასაკის დონე 6 – 12), საბაზისო (3 წელი; ასაკის დონე 12–15) და საშუალო (3 წელი; ასაკის დონე 15–18), ან ალტერნატიულ პროფესიულ სწავლებად (2 წელი). საშუალო სკოლის ატესტატის მქონე მოსწავლეებს ხელი მიუწვდებათ უმაღლეს განათლებაზე.
13. საქართველოს აქვს სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების სისტემა, რომელშიც შედის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საფეხურები. საქართველოში უმაღლესი განათლება რეგულირდება ორი ძირითადი კანონის საშუალებით, ესენია კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" და კანონი "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ", და ასევე, სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი აქტებით. ამჟამად საქართველოში 71 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მოქმედებს, მათ შორის, 34 სახელმწიფო და 37 კერძო.
14. საქართველოს მთავრობის მხრიდან განათლებაზე ყურადღების გამახვილების მიუხედავად, სექტორისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების მოცულობა დაბალია ერთ სულ მოსახლეზე მსგავსი შემოსავლის მქონე ქვეყნებთან შედარებით, და ადამიანური კაპიტალის დეფიციტის და ქვეყნის ამბიციების გათვალისწინებით. ამასთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელთა ხელფასი ერთ – ერთი ყველაზე დაბალია საქართველოში სახელმწიფო მოსამსახურეთა შორის, მასწავლებელთა და ადმინისტრატორთა ხელფასები განათლების სექტორის ბიუჯეტის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს, რაც მცირე შესაძლებლობებს ტოვებს კურიკულუმის გასაუმჯობესებლად, ტრენინგის, კვლევის და განვითარების გრანტების, მოწყვლადი სტუდენტების სტიპენდიების და სკოლების განვითარებისთვის საჭირო კაპიტალური ინვესტიციებისთვის ხარჯების დაფინანსების თვალსაზრისით³.
15. ქართველები განათლებასთან შედარებით ფართო წვდომით სარგებლობენ, მაგრამ განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირები არამყარია. ჩარიცხვის მონაცემების თანახმად, მიუხედავად იმისა რომ საშუალო და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ჩარიცხვა შეიძლება გაუმჯობესდეს, განათლების ხელმისაწვდომობა მაღალია. 25 – 64 წლის ასაკის მოსახლეობის 35 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც მაღალშემოსავლიანი ევროპული ქვეყნების მაჩვენებლის მსგავსია. ზოგადად, გენდერული თანასწორობა მიღწეულია განათლების ყველა საფეხურზე. ამავე დროს, საქართველოს უმუშევარი მოსახლეობის 40 პროცენტს უმაღლესი განათლების დიპლომი აქვს. გლობალური კონკურენტუნარიანობის 2017-18 წწ ანგარიშის თანახმად, "არაადეკვატურად განათლებული შრომითი რესურსები" ერთდერთი ყველაზე პრობლემური ფაქტორია ბიზნესის წარმოებისთვის საქართველოში. ყოფილი სოციალისტური ქვეყნების უმეტესობის მსგავსად, საქართველოს მოსახლეობაც ფრიად წიგნიერია. ამრიგად, დამსაქმებელთათვის მთავარი საკითხი არა დიპლომებისა და ფორმალური სერტიფიკატების მქონე კანდიდატების ნაკლებობა, არამედ პროფესიული უნარების დეფიციტია: პრობლემას წარმოადგენს არა განათლების ხელმისაწვდომობა, არამედ შესაბამის განათლებასთან და ტრენინგთან წვდომა.
16. საქართველოში 43 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებიც საბაკალავრო საბუღალტრო პროგრამებს ახორციელებენ: 10 უნივერსიტეტი და 33 კოლეჯი. მონაცემები სტუდენტების

³ იხ. World Bank (2014): *Georgia Public Expenditure Review: Strategic Issues and Reform Agenda (Volume 1)*: <http://documents.worldbank.org/curated/en/779561468275119198/pdf/781430GE0v10RE0Box0385291B00PUBLIC0.pdf>

შესახებ, რომლებიც ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებულ პროგრამებს ირჩევენ, არ არის სრულყოფილი და ამდენად ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენი სტუდენტი ამთავრებს ბუღალტრული პროგრამების მე -6 საფეხურს⁴. შეფასების მიხედვით, ყოველწლიურად დაახლოებით 800 სტუდენტი ამთავრებს ბუღალტერიასთან დაკავშირებულ დისციპლინებს. კოლეჯებში განათლება მე -5 დონემდეა და წარმატებულ სტუდენტებს გადაეცემათ დიპლომი. ასეთი დიპლომების მქონე სტუდენტები არ შედიან კურსდამთავრებულთა ყოველწლიურ სავარაუდო რაოდენობაში. უფრო მეტიც, ასეთი დიპლომების მქონე სტუდენტები არ სარგებლობენ პროფესიული ჩათვლებით SARAS- ის რეგულაციების შესაბამისად.

17. ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმებს თითოეული უნივერსიტეტი ინდივიდუალურად ამტკიცებს. განათლების სამინისტრო მკაფიოდ არ ადგენს მოთხოვნებს უნივერსიტეტის დონეზე ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმისთვის. ანალოგიურად, არ არსებობს ეროვნულ დონეზე დამტკიცებული ბუღალტრული განათლების სტანდარტი. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის დონეზე არ არსებობს ბუღალტრული აღრიცხვის საერთო ეროვნული კურიკულუმი, ზოგიერთი უნივერსიტეტი იყენებს ACCA- ს სახელმძღვანელოებს, როგორც ძირითადი ბუღალტრული დისციპლინების კურიკულუმების შემუშავების საფუძველს.

18. რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტს აქვს ადგილობრივი პროფესიული ორგანიზაციების, მათ შორის, ბაფ-ის მიერ აკრედიტებული ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამები. ამასთან, არცერთი წამყვანი უნივერსიტეტი არ არის აკრედიტებული საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების მიერ, ამდენად, კავშირები პროფესიასთან და კურიკულუმების და სასწავლო მასალების განახლების შესაძლებლობებთან, პროფესიის ბოლოდროინდელი გლობალური განვითარებისა და ადგილობრივი ბიზნესის საჭიროებების გათვალისწინებით, შეზღუდულია.

19. ბუღალტრული განათლება შეიძლება გაგრძელდეს პროფესიულ დონეზე, საქართველოში მოქმედი პროფესიული ორგანიზაციის საკვალიფიკაციო პროგრამის საშუალებით. ამჟამად არსებობს ორი პროფესიული ორგანიზაცია, რომელთა სერტიფიცირების პროგრამებსაც SARAS- ი აღიარებს: საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (<http://gfpa.ge/site/index.php>) და საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაცია (<http://gfaafm.ge/>). SARAS- ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ბუღალტრებისა და აუდიტორთა რეესტრის მონაცემებით, 2020 წლის 1- ლი აგვისტოს მონაცემებით, საქართველოში ამჟამად მოქმედებს 467 აუდიტორი და 804 სერტიფიცირებული ბუღალტერი⁵.

20. საქართველოში დიდი მოთხოვნაა კვალიფიციურ ბუღალტრებზე. ქვეყნის ეკონომიკა 10,77 მილიარდი აშშ დოლარიდან (2010 წ.) 17,74 მილიარდ დოლარამდე (2019 წ.) გაიზარდა. სამეწარმეო რეესტრის მონაცემებით, 2019 წლის ბოლოს საქართველოში 183 ათასი აქტიური ბიზნესსუბიექტი ფუნქციონირებდა, და ყოველწლიურად 47-50 ათასი ახალი ბიზნესსუბიექტი რეგისტრირდებოდა. რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების საერთო რაოდენობამ 2019 წლის ბოლოს 765,000 შეადგინა.⁶

21. ამ ანგარიშის დასრულების ეტაპზე, მსოფლიო იმყოფებოდა COVID-19 -ის პანდემიის ზემოქმედების ქვეშ. აშკარაა, რომ ამ ეპიდემიამ ბიზნესის არაერთი დარგი, მათ შორის, ბუღალტრული პროფესია, განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოაქცია. კერძო სექტორში აღინიშნება მოთხოვნის ვარდნა სერვისებზე და საქონელზე, შემოსავლების კლება და სხვა ზეწოლა, რომელიც შრომითი რესურსების შემცირებას იწვევს. COVID-19- ის ზუსტი გავლენა ბუღალტრულ პროფესიაზე ჯერჯერობით ძნელია

⁴ საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (<https://eqe.ge/eng/static/125/education-system/national-qualifications-framework>) ემყარება ევროპის 2018 წლის საკვალიფიკაციო ჩარჩოს. დონის აღმწერი მაჩვენებლები დაფუძნებულია ორი კომპონენტის იერარქიაზე, ესენია: ცოდნა და უნარები: (<https://ec.europa.eu/ploteus/en/content/descriptors-page>)


⁵ <https://saras.gov.ge/en/CertifiedAccountant>

⁶ <https://www.geostat.ge/en/modules/categories/64/business-register>

შეფასდეს, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდეს ამ დარგის პროფესიონალებზე. კერძო სექტორი მოერგება „ახალ რეალობას“, ხოლო საჯარო სექტორს მუდმივად დასჭირდება ბუღალტრული აღრიცხვის ძლიერი სპეციალისტები.

22. პროფესიული ორგანიზაციის წევრობის გზა განიხილება SARAS- ის პროცედურაში პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის აღიარების შესახებ. შემდეგი დიაგრამა ასახავს შესაძლო გზებს.

დიაგრამა 1: ბუღალტრული აღრიცხვის განათლება საქართველოში



რეზიუმე მონაწილე უნივერსიტეტების შესახებ

23. **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU)** სტუდენტებს სთავაზობს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებს ბუღალტრულ აღრიცხვაში. უნივერსიტეტს აქვს ონლაინ პლატფორმა www.lms.tsu.ge, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტებსა და პროფესორებს შორის კომუნიკაციას. პლატფორმას აქვს ონლაინ რეესტრი (ჟურნალი), რომელშიც ფიქსირდება სტუდენტის დასწრება, შესაბამისი სემესტრის განმავლობაში სტუდენტის აქტივობის შესაბამისი შეფასება და შუალედური და დასკვნითი გამოცდების შედეგები. ამ პლატფორმის გამოყენებით შესაძლებელია სასწავლო მასალების მიწოდება სტუდენტების ჯგუფისთვის ან ცალკეული სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია ონლაინ პლატფორმაზე, მოიცავს სტუდენტთა სასწავლო ბარათებს ინფორმაციით სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ. უნივერსიტეტის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრას აქვს სასწავლო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 40 კომპიუტერით და შესაძლებელს ხდის სტუდენტების სწავლებას და ტესტირებას სპეციალიზებული ბუღალტრული და აუდიტორული პროგრამის მეშვეობით.

24. **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISU)** სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო (BBA) და სამაგისტრო (MBA) პროგრამებს. უნივერსიტეტი იყენებს ონლაინ პროგრამას სახელწოდებით "argus" (www.argus.ge), რომელიც გამოიყენება პროფესორებსა და სტუდენტებს შორის კომუნიკაციისთვის, დამატებითი რესურსების უზრუნველსაყოფად და გამოცდის შედეგების კომუნიკაციისთვის. უნივერსიტეტს აქვს ბუღალტრული აღრიცხვის ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია კომპიუტერებით და გამოიყენება ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროგრამული პროდუქტების სწავლებისთვის.

25. **შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი (IBSU)** სტუდენტებს სთავაზობს საბაკალავრო პროგრამას ბუღალტრულ აღრიცხვაში. უნივერსიტეტი იყენებს ორ ონლაინ პლატფორმას: 1) SMART -

პლატფორმას Moodle სისტემის საფუძველზე, რომელიც ხელს უწყობს კომუნიკაციას ლექტორებსა და სტუდენტებს შორის სასწავლო მასალის ატვირთვის, ფორუმების, დისკუსიების, სხვადასხვა გამოცდების ჩატარების, გამოკითხვების და ა.შ. საშუალებით; და 2) SIS სისტემას (სტუდენტური საინფორმაციო სისტემა), უნივერსიტეტის ონლაინ მონაცემთა ბაზას, რომელშიც აღრიცხული და წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასება და საერთო აკადემიური მოსწრება. უნივერსიტეტს ასევე აქვს მრავალფუნქციური ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ კომპიუტერების გამოყენება და სხვადასხვა ლექციებზე ვირტუალურად დასწრება, მათ შორის, ბუღალტრულ აღრიცხვაში. პროგრამა ატარებს კურსს ბუღალტრული აღრიცხვის საინფორმაციო სისტემაში (ORIS), რომელიც ქართული ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაა და რომელსაც მცირე და საშუალო საწარმოების უმეტესობა იყენებს საქართველოში. ამჟამად უნივერსიტეტს შემოაქვს ახალი დისციპლინა, ესაა ბუღალტრულ აღრიცხვის - ლოგისტიკის პროგრამა (Balance), რომელსაც მსხვილი ქართული კომპანიები იყენებენ.

26. მომდევნო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია სტუდენტების რაოდენობის, რესურსების ხელმისაწვდომობის და პროფესიონალური აღიარების შესახებ.

ცხრილი 1: სტუდენტების რაოდენობა და რესურსების პროფილის რეზიუმე

	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი		შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	
	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა	საბაკალავრო პროგრამა	სამაგისტრო პროგრამა
<i>სტუდენტების რ- ბა, რომლებმაც დაამთავრეს 2017- 2019 წწ. წლიური საშუალო (000s)</i>	50	65	209	33	20	n/a
<i>ონლაინ პლატფორმების ხელმისაწვდომობა ინფორმაციის გასაცვლელად</i>	დიახ		დიახ		დიახ	
<i>ბუღალტრული „ლაბორატორიის“ ხელმისაწვდომობა</i>	დიახ		დიახ		დიახ	
<i>საერთაშორისო პროფესიული აკრედიტაციის ხელმისაწვდომობა</i>	არა		არა		არა	

IV. ანალიზი, ძირითადი მიგნებები და გამოწვევები

ამ კვლევის პროგრესი და საფუძვლები

27. ქვევით წარმოდგენილი მიგნებები აჩვენებს მნიშვნელოვან პროგრესს, რომელსაც შერჩეულმა უნივერსიტეტებმა მიაღწიეს ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმების და ბუღალტრული აღრიცხვის განათლების ხარისხის განმტკიცებაში. კერძოდ, არსებობს რეფორმებში ჩართვის სურვილი და ერთუზიანობა, რომ ხელი შეუწყონ ბუღალტრული აღრიცხვის განათლების განვითარებას საქართველოში. საქართველოში უნივერსიტეტების მიერ სასწავლო მიზნების (კომპეტენციებზე დაფუძნებული) შემცველი კურიკულუმის დანერგვა მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, რომელიც უნივერსიტეტებს აყენებს ისეთ პოზიციაში, სადაც შესაძლებელია შემდგომი პროგრესის მიღწევა. ამ მხრივ, ანგარიშში შემოთავაზებული ნებისმიერი რეფორმა ემყარება საფუძველს, რომელიც უკვე აღიარებს ბუღალტრული განათლების თანამედროვე მიდგომების და პროფესიასთან კავშირების მნიშვნელობას.

28. უნივერსიტეტების მიერ გაწეული სამუშაოს გარდა, SARAS- მა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა და სხვა მნიშვნელოვანმა პირებმა და ორგანიზაციებმა უკვე განახორციელეს მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

29. ამ ანგარიშში ასევე გამოყენებულია მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის მიერ ორგანიზებული რეგიონული პროგრამის მიგნებები. ამ პროგრამის ნაწილმა, STAREP -ის საგანმანათლებლო პრაქტიკის საზოგადოებამ (EduCOP), თავი მოუყარა განათლების სექტორის დაინტერესებულ მხარეებს რეგიონის მასშტაბით რეფორმების განსახილველად. EduCOP- ის ქართველმა წევრებმა ერთობლივად შეიმუშავეს თავიანთი მიგნებები და შეხედულებები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში საჭირო რეფორმების შესახებ. ამ მიგნებების გადამოწმება ანგარიშის მომზადების პროცესში მოხდა მარეგულირებლებთან, პროფესიულ ორგანიზაციებთან და უნივერსიტეტებთან შეხვედრის შედეგად.

შედარებითი ანალიზი და მიგნებები

30. სამი ქართული უნივერსიტეტიდან, რომლებიც მონაწილეობდნენ შედარების პროცესში, თსუ და ისუ სახელმწიფო უნივერსიტეტებია, ხოლო შსსუ კერძო უნივერსიტეტი. თსუ და ისუ სტუდენტებს სთავაზობენ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სპეციალობით, ხოლო შსსუ მხოლოდ საბაკალავრო პროგრამას. ძირითადი საბუღალტრო დისციპლინების უმეტესობა შედის შსსუ-ს საბაკალავრო პროგრამაში, მაშინ როცა ეს დისციპლინები გადანაწილებულია თსუ – ს და ისუ– ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ამ მიზეზით, ანალიზში შევიდა თსუ-სა და ისუ -ს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები.

31. შედარების ანალიზი მოიცავდა სილაბუსის ყველა დისციპლინას, არჩევითი საგნების ჩათვლით, და იყენებდა იმავე შეწონვას ყველა მათგანის მიმართ პროფილირების ინსტრუმენტში მითითებული თემების დაფარვის საფუძველზე. თუმცა, ზოგიერთი დისციპლინა, როგორცაა მაგალითად ეთიკა, ძირითადია საზოგადოების საჭიროებების და პროფესიის მოლოდინის გათვალისწინებით. სავარაუდოდ, ესენი სავალდებულო თემებად უნდა იქცეს. ეს არ აისახება პროფილირებაში, მაგრამ ასახული იქნება კურიკულუმების შეფასებაში, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს რეკომენდაციებიდან.


32. მომდევნო გრაფიკები და ცხრილები წარმოგვიდგენს პროფილირების შედეგებს საბაკალავრო პროგრამებისთვის შედარებისას, თავდაპირველად სრული სილაბუსის პროფილის მიმართ რომლებიც მოიცავს IES- ს, ACCA- ს და CIPFA- ს (ნახაზი 1 და ცხრილი 2), შემდეგ ACCA- ს (ნახაზი 2 და ცხრილი 3) და ბოლოს CIPFA -ს (ნახაზი 3 და ცხრილი 4). ნახაზი 4 და ცხრილი 5 მიუთითებს სამაგისტრო პროგრამის შედარების შედეგებს, სრული სილაბუსის პროფილების მიხედვით; ნახაზი 5 და ცხრილი 6 გვიჩვენებს

შედარების შედეგებს ACCA-ს მიმართ, ხოლო ნახაზი 6 და ცხრილი 7 იგივეს წარმოგვიდგენს CIPFA-ს მიმართ.


33. ცხრილებში გამოკვეთილი მიმართულებები მიუთითებს კურიკულუმის ეტალონის მიმართ შესაბამისობის შედარებით დაბალ პროცენტულ მაჩვენებლებზე.


ნახაზი 1. სრული სილაბუსის პროფილი პროფილირების ინსტრუმენტის მიხედვით (IES ის, ACCA -ს და CIPFA -ს საფუძველზე) საბაკალავრო პროგრამის დონეზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი






შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ცხრილი 1. სრული სილაბუსის პროფილი პროფილირების ინსტრუმენტის მიხედვით (IES - ის, ACCA -ს და CIPFA -ს საფუძველზე) საბაკალავრო პროგრამის დონეზე.


#	საგანი	თემების რ-ბა	თსუ	ისუ	შსსუ	მაჩვენებელი
A	მენეჯმენტი და აღრიცხვა	159	82%	72%	40%	100%
B	მენეჯერული აღრიცხვის ტექნიკა	135	70%	70%	93%	100%
C	მენეჯმენტი და ეთიკა	84	93%	0%	34%	100%
D	საქმიანობის ეფექტიანობის მართვა და გადაწყვეტილების მიღება	76	56%	16%	59%	100%
E	მართვის მეთოდები	11	50%	0%	0%	100%
F	ფინანსური აღრიცხვის კონცეფციები	71	70%	66%	94%	100%
G	გარიგებების და მოვლენების აღრიცხვა	147	82%	78%	99%	100%
H	ფინანსური ანგარიშგებების მომზადება	86	69%	45%	76%	100%
I	ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი და ინტერპრეტაცია	27	28%	0%	70%	100%
J	აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების გარიგებები	87	100%	93%	99%	100%
K	აუდიტის ტესტირება და ანგარიშგება	88	89%	76%	100%	100%
L	ფინანსური მართვის პრინციპები	31	47%	40%	51%	100%
M	ფინანსური მართვის მეთოდები	99	16%	34%	71%	100%
	სულ	1,101	66%	51%	70%	100%

ნახაზი 2. ACCA პროფილი საბაკალავრო პროგრამის დონეზე


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი




ცხრილი 2. ACCA პროფილი საბაკალავრო პროგრამის დონეზე


#	საგანი	თემების რ-ბა	თსუ	ისუ	შსსუ	მაჩვენებელი
F1	ბუღალტერი ბიზნესში	207	84%	46%	37%	80%
F2	მენეჯერული აღრიცხვა	144	79%	65%	77%	80%
F3	ფინანსური აღრიცხვა	191	84%	77%	100%	80%
F5	საქმიანობის ეფექტიანობის მართვა	76	47%	39%	85%	80%
F7	ფინანსური ანგარიშგება	127	43%	47%	99%	80%
F8	აუდიტი დამარწმუნებელი მომსახურება	139	96%	86%	100%	80%
F9	ფინანსური მართვა	116	24%	51%	74%	80%
	სულ	1,000	67%	59%	78%	

ნახაზი 3. CIPFA პროფილი საბაკალავრო პროგრამის დონეზე


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი




ცხრილი 3. CIPFA პროფილი საბაკალავრო პროგრამის დონეზე

#	საგანი	თემების რ-ბა	თსუ	ისუ	შსსუ	მაჩვენებელი
FA	ფინანსური აღრიცხვა	206	95%	74%	79%	80%
MA	მენეჯერული აღრიცხვა	117	61%	77%	86%	80%
PS	საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება	-	85%	0%	0%	80%
AA	აუდიტი დამარწმუნებელი მომსახურება	163	91%	86%	93%	80%
MO	ორგანიზაციების მართვა	59	62%	12%	17%	80%
MF	ფინანსების მართვა	84	30%	8%	64%	80%
	სულ	629	70%	57%	67%	80%

ნახაზი 4. სრული სილაბუსის პროფილი პროფილირების ინსტრუმენტის მიხედვით (IES - ის, ACCA -ს და CIPFA -ს საფუძველზე) სამაგისტრო პროგრამის დონეზე .

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი





ცხრილი 5. სრული სილაბუსის პროფილი პროფილირების ინსტრუმენტის მიხედვით (IES - ის, ACCA -ს და CIPFA -ს საფუძველზე) სამაგისტრო პროგრამის დონეზე

#	საგანი	თემების რ-ბა	TSU	ISU	მაჩვენებელი
A	მენეჯმენტი და აღრიცხვა	159	96%	72%	100%
B	მენეჯერული აღრიცხვის ტექნიკა	135	97%	70%	100%
C	მენეჯმენტი და ეთიკა	84	95%	0%	100%
D	საქმიანობის ეფექტიანობის მართვა და გადაწყვეტილების მიღება	76	93%	16%	100%
E	მართვის მეთოდები	11	84%	0%	100%
F	ფინანსური აღრიცხვის კონცეფციები	71	100%	83%	100%
G	გარიგებების და მოვლენების აღრიცხვა	147	99%	93%	100%
H	ფინანსური ანგარიშგებების მომზადება	86	100%	69%	100%
I	ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი და ინტერპრეტაცია	27	98%	50%	100%
J	აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების გარიგებები	87	100%	93%	100%
K	აუდიტის ტესტირება და ანგარიშგება	88	93%	76%	100%
L	ფინანსური მართვის პრინციპები	31	60%	44%	100%
M	ფინანსური მართვის მეთოდები	99	42%	73%	100%
	სულ	1,101	87%	62%	100%

ნახაზი 5. ACCA პროფილი სამაგისტრო პროგრამის დონეზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი





ცხრილი 6. ACCA პროფილი სამაგისტრო პროგრამის დონეზე

#	საგანი	თემების რ-ბა	TSU	ISU	მაჩვენებელი
F1	ბუღალტერი ბიზნესში	207	95%	46%	80%
F2	მენეჯერული აღრიცხვა	144	100%	65%	80%
F3	ფინანსური აღრიცხვა	191	100%	93%	80%
F5	საქმიანობის ეფექტიანობის მართვა	76	88%	39%	80%
F7	ფინანსური ანგარიშგება	127	99%	86%	80%
F8	აუდიტი დამარწმუნებელი მომსახურება	139	99%	86%	80%
F9	ფინანსური მართვა	116	52%	87%	80%
	სულ	1,000	90%	72%	

ნახაზი 6. CIPFA პროფილი სამაგისტრო პროგრამის დონეზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი



ცხრილი 7. CIPFA პროფილი სამაგისტრო პროგრამის დონეზე

#	საგანი	თემების რ-ბა	TSU	ISU	მაჩვენებელი
FA	ფინანსური აღრიცხვა	206	100%	76%	80%
MA	მენეჯერული აღრიცხვა	117	99%	77%	80%
PS	საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება	-	100%	0%	80%
AA	აუდიტი დამარწმუნებელი მომსახურება	163	95%	86%	80%
MO	ორგანიზაციების მართვა	59	91%	12%	80%
MF	ფინანსების მართვა	84	52%	8%	80%
	სულ	629	87%	57%	80%

35. მთლიანობაში სამი უნივერსიტეტის კურიკულუმების შედარებამ საბაკალავრო პროგრამების დონეზე აჩვენა შესაბამისობა 51% -სა და 72% -ს შორის, ხოლო სამაგისტრო პროგრამის დონეზე 62% -სა და 87% -ს შორის.

36. როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამებისთვის, დაფარვის ცვალებადობას აქვს ადგილი, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, შესაბამისობა უფრო მაღალია სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, რომლებიც ემყარება და განაგრძობს საბაკალავრო პროგრამების საგნობრივ შინაარსს.

37. ცვალებადობის ხარისხი ასევე მიუთითებს საერთო ხედვის არარსებობაზე კურიკულუმის შესახებ, სადაც ზოგიერთი საკვანძო საგანი საერთოდ არ არის, ან ძალიან მცირედ არის წარმოდგენილი. SARAS -მა ⁷ ახლა მოამზადა პროფესიული სერტიფიცირების კურიკულუმის მონახაზი, განათლების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც უნდა შესრულდეს პროფესიული სერტიფიცირების განსახორციელებლად. ამასთან ერთად, სამუშაო ჯგუფმა მოითხოვა საერთო კურიკულუმის შედგენა საბუღალტრო განათლებისთვის.

38. კერძოდ, სამივე უნივერსიტეტმა შესაბამისობის მაღალი დონე გამოავლინა, შემდეგი მიმართულებით:

- ბუღალტრული აღრიცხვა
- გარიგებების და მოვლენების გატარება
- აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება
- აუდიტის ტესტირება და ანგარიშგება
- მენეჯერული აღრიცხვა.

39. შემდეგი საგნები ყველაზე ნაკლებად დაფარული აღმოჩნდა:

- მენეჯმენტი და ეთიკა (IBSU და ISU)
- ფინანსური მართვის პრინციპები და ტექნიკა (TSU და ISU)
- ფინანსური ანგარიშგებების ანალიზი და ინტერპრეტაცია (ISU და TSU)

⁷ პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის აღიარების პროცედურა

- მართვის მეთოდები (IBSU and ISU)
- საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება (0% - IBSU -ს და ISU -ს შემთხვევაში)

40. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS) და დარიცხვის მეთოდი, ისე როგორც გამოიყენება საჯარო სექტორში, არ არის შეტანილი შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (IBSU) და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (ISU) ბუღალტრული აღრიცხვის კურიკულუმებში.

41. იქ სადაც მიზნად ისახავენ საერთაშორისო აღიარების მოპოვებას, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის შეტანა კურიკულუმში ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას და ასეთი აღიარების მიღწევას.

42. როგორც ზემოთ იყო აღწერილი, დაინტერესებული მხარეების ჯგუფი მოწვეული იყო მსოფლიო ბანკის რეგიონული საგანმანათლებლო საზოგადოების პრაქტიკის (EduCOP) შეხვედრების დროს. მათ შეიმუშავეს მიგნებები და ღონისძიებები საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში მუდმივი პროგრესის და განვითარების ხელშესაწყობად. ეს მიგნებები განახლდა ამ ანგარიშის მომზადების პროცესში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შედეგად. ისინი ამყარებს ამ ანგარიშის დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

43. EduCOP ჯგუფმა განსაზღვრა როგორც სწავლების, ისე შეფასების პრაქტიკა, როგორც სფეროები, სადაც საჭიროა განვითარება. კერძოდ, მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოების გამოყენება ხელს შეუწყობს სწავლების პრაქტიკასა და სტუდენტების სასწავლო პროცესს, და საგამოცდო პროცედურების მოდელის დანერგვა დაეხმარება უმაღლეს სასწავლებლებს რეფორმირებული კურიკულუმის დანერგვაში სწავლის ამოცანების საფუძველზე, სადაც კომპეტენციების დემონსტრირება სტუდენტების მიერ სწავლებისა და სწავლის მიდგომის ცენტრალური ნაწილია .

44. EduCOP -ის ჯგუფმა აღნიშნა, რომ რეფორმის მიმართ კოორდინირებული ძალისხმევა უნივერსიტეტებს და პროფესიულ ორგანიზაციებს მისცემს პროგრესის მიღწევის საშუალებას უნივერსიტეტების მიერ ისეთი პოზიციის მოსაპოვებლად, რომ მათ შეძლონ ჩათვლების მიღება, შექმნან შესაძლებლობები დამძობილების შეთანხმებებთან დაკავშირებით სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებთან და გაცილებით კარგად დააკმაყოფილონ პროფესიული საზოგადოების მოლოდინები. ხარისხის სტანდარტები კურიკულუმის და შეფასების მიმართულებით, როგორებიცაა მაგალითად IES- ით დადგენილი ხარისხის სტანდარტები, მოთხოვნილია EduCOP ჯგუფის მიერ, თარგმნილ სახელმძღვანელოებთან ერთად, რომლებიც ასახავს კურიკულუმის ახალ მოთხოვნებს. ამ ტიპის კოორდინაცია საჭიროებს მართვის ან ადმინისტრირების ახალ მექანიზმებს თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად იქ, სადაც საჭიროა საერთო მიდგომა ძალისხმევის დუბლირების თავიდან ასაცილებლად.

მომდევნო ნაბიჯები და გამოწვევები

45. ეს კვლევა და EduCOP ჯგუფის ძირითადი ჩართულობა მიუთითებს რეფორმის შემდეგ ოთხ სფეროზე, რომლებზეც ფოკუსირებულია რეკომენდაციები და სამოქმედო გეგმის შესაბამისი ღონისძიებები:

- კურიკულუმის შემუშავება, რომელსაც დაეყრდნობა ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში განათლების მოდერნიზაციისთვის უკვე გაწეული სამუშაო;
- სწავლების გაძლიერებული პრაქტიკა, სტუდენტთა სასწავლო პროცესის მხარდასაჭერად;

- შეფასების მიდგომების დახვეწა გაუმჯობესებული სასწავლო მიზნების მიღწევის დემონსტრირებისთვის;
- მართვის ახალი მექანიზმები უნივერსიტეტების, პროფესიული ორგანიზაციების და SARAS- ის კოორდინაციის ხელშესაწყობად და განათლების რეფორმაში საერთო მიზნების მისაღწევად.

46. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის განათლების შემდგომი განვითარებისათვის იდენტიფიცირებული ოთხი ძირითადი მიმართულება დეტალურად ქვევით არის აღწერილი.

კურიკულუმი:

- უნივერსიტეტებმა უნდა განავითარონ თავიანთი ამჟამინდელი კურიკულუმები შედარების პროცესში იდენტიფიცირებულ მიმართულებებზე რეაგირებისთვის, სადაც შესაბამისობა შედარებით დაბალი იყო და დაუახლოვონ კურიკულუმები საერთაშორისო აღიარების მქონე პროფესიულ პროგრამებს და IES -ის მოთხოვნებს. უნივერსიტეტებისთვის საერთო სილაბუსის მოდელის შემუშავება ამას ხელს შეუწყობს.
- საუნივერსიტეტო პროგრამები უნდა განვითარდეს ბაზრის მოთხოვნებისა და დამსაქმებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დაინტერესებული მხარის პერსპექტივა მათგან, მაგალითად ვინც ბუღალტრული აღრიცხვის კურსდამთავრებულებს ასაქმებს, უნივერსიტეტებს დაეხმარება ბუღალტრული აღრიცხვის ამჟამინდელი და სამომავლო პრაქტიკის ასახვაში, განსაკუთრებით თანამედროვე პროფესიონალებისთვის საჭირო უნარებთან დაკავშირებით; და
- მნიშვნელოვანი წინსვლა შეიძლება მიღწეულ იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის საუნივერსიტეტო პროგრამებში, კურიკულუმების უფრო მჭიდრო ინტეგრაციით SARAS- ის მიერ აღიარებულ პროფესიულ სასერტიფიკატო პროგრამებთან განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) და ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად..

სწავლება:

- უნივერსიტეტები აღიარებენ სწავლის მიზნებზე დამყარებული მიდგომის გამოყენების მნიშვნელობას არსებულ კურიკულუმებში და უნდა სცადონ ამ მიდგომის ჩართვა სწავლების და შეფასების პრაქტიკაში, რაც სტუდენტებს ხელს შეუწყობს საჭირო კომპეტენციების შეძენასა და გამოვლენაში;
- ფართოდაა ცნობილი, რომ არსებული მეთოდოლოგიური მხარდაჭერა შეზღუდულია - სასწავლო მასალები, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრაქტიკული აპლიკაციები და ეროვნულ კანონმდებლობაზე მორგებული სახელმძღვანელოები, ძირითადად არ არის ხელმისაწვდომი კომერციული წყაროებიდან და მასწავლებლებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ასეთი მასალების შემუშავების სტიმული;
- იზრდება ონლაინ პლატფორმების გამოყენება, მაგრამ ჯერ კიდევ ადრეა იმის დანახვა, თუ როგორ შეუძლია ციფრულ ინტერვენციას ბუღალტრული აღრიცხვის მიმართულებით სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა, განსაკუთრებით თუ მიღებული იქნება ძირითადი საერთო კურიკულუმი; და
- არ ხდება აუდიტის და ბუღალტრული აღრიცხვის საგანმანათლებლო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, რომელსაც შეუძლია სტუდენტების ციფრული უნარების გაუმჯობესება. ტექნოლოგიის მზარდი გამოყენება აღრიცხვასა და აუდიტში ზრდის მოთხოვნას ციფრული უნარების მქონე კურსდამთავრებულებზე.

შეფასება:

- (i) საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი შეფასების თანამედროვე პროცედურები შესაძლებელს ხდის გაუმჯობესებული კურიკულუმის, სწავლების და სწავლის მეთოდების სრულ დანერგვას. შეფასების პრაქტიკა სამ უნივერსიტეტში განსხვავებულია და არსებობს გამოწვევები სტუდენტის სწავლისა და შეფასების სრულად ინტეგრირებული მიდგომის მისაღწევად; და
- (ii) ამჟამად, აკრედიტებული საუნივერსიტეტო პროგრამების თვალსაზრისით, ფართო პროფესიული აღიარების წინაშე არსებული ერთ-ერთი ბარიერია მონაწილე უნივერსიტეტებისთვის შეფასების თანმიმდევრული პრაქტიკის საჭიროება. აღნიშნული აუცილებელია, თუ კურიკულუმის გაუმჯობესება სრულად და თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს.

მართვა:

- (i) საერთაშორისო სტანდარტების დასაკმაყოფილებლად საჭიროა უნივერსიტეტებს შორის უფრო მჭიდრო ინტეგრაცია და ასეთი კოორდინაცია შეიძლება მიღწეულ იქნეს ხარისხის კონტროლის სტანდარტების დანერგვით მართვის გაძლიერებული პროცედურების საშუალებით; და
- (ii) მართვის დამატებითი პროცედურები კოორდინირებული მიდგომის მხარდასაჭერად ახალი ადმინისტრაციული ღონისძიებების გათვალისწინებით აქტიურ მართვას და ხარისხის კონტროლს მოითხოვს კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაზე, სწავლებისა და სწავლის სტანდარტებზე და შეფასების პროცესებზე. დაინტერესებულ მხარეებისგან შემდგარ სამუშაო ჯგუფს შეუძლია აღნიშნული ღონისძიებების კოორდინაცია.

V. რეკომენდაციები

ქვევით წარმოდგენილია რეკომენდაციები უნივერსიტეტების მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით ოთხ პრიორიტეტულ სფეროში:

- (i) **კურიკულუმი:** კომპეტენციებზე დაფუძნებული მიდგომის გაუმჯობესება საბაკალავრო / სამაგისტრო პროგრამების მიმართ და დაახლოება განათლების საერთაშორისო სტანდარტებთან (IES), საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ კრიტერიუმებთან და დამსაქმებელთა საჭიროებებთან; საჯარო სექტორში უნარების განვითარების ხელშეწყობი თემების დანერგვა;
- (ii) **სწავლება:** კომპეტენციებზე დაფუძნებული საუნივერსიტეტო სწავლებისა და სწავლის მეთოდების შემდგომი განვითარება სტუდენტებში უნარების და პროფესიული კომპეტენციების რეალიზაციის მიზნით;
- (iii) **შეფასება:** შეფასების პროცესის და ხარისხის სტანდარტების შემუშავება, რომლებიც მკაფიოდ შეამოწმებს ბუღალტრული აღრიცხვის სტუდენტების უნარებს და კომპეტენციებს, რომელთა მიღწევასაც ისინი ცდილობენ; და
- (iv) **მართვა:** თანამშრომლობის გაუმჯობესება მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის, მათ შორის, SARAS -ს, პროფესიულ ორგანიზაციებს (PAO), საერთაშორისო პროფესიულ ორგანოებს და სხვა უნივერსიტეტებს შორის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, ბუღალტრული პროფესიის მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად.

რეკომენდაციები დეტალურად განმარტებულია ქვევით:

კურიკულუმი:

რეკომენდაცია 1: მრავალი დაინტერესებული მხარისგან შემდგარი (იხ. რეკომენდაცია 12) სამუშაო ჯგუფი (WG) შექმნის შემდეგ შეიმუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთო კურიკულუმის მოდელს საერთაშორისო აღიარების მქონე პროგრამების (მაგ. ACCA, CIMA) და განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) საფუძველზე. მიდგომაში და ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარებაში საერთაშორისო კარგი პრაქტიკის ასახვისას, კურიკულუმი ბუღალტრული აღრიცხვის სტუდენტების განათლების პოზიციურებას ახდენს სხვაგან კარგი პრაქტიკის დონეზე. განათლების თანამედროვე სტანდარტები ასახავს კომპეტენციებზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც საფუძვლად უდევს საუნივერსიტეტო პროგრამების აღიარებას ეროვნული და საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციების და პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ.

რეკომენდაცია 2: კურიკულუმის მოდელი ფოკუსირებული უნდა იყოს თანამედროვე ბუღალტერებისთვის საჭირო უნარებზე. უზრუნველყოფა იმისა, რომ ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარება წარმოადგენს კურიკულუმის ცენტრალურ ნაწილს, განაპირობებს რწმუნებას პროფესიის, მარეგულირებლის, დამსაქმებლისა და სხვა დაინტერესებული ჯგუფებისთვის, რომ განახლებულ პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს ექნებათ მაღალი დონის საბუღალტრო და აუდიტორულ პოზიციებზე დასასაქმებლად აუცილებელი უნარ-ჩვევები, როგორც ახლა, ისე მომავალში. დაინტერესებულ მხარეებთან ფართომასშტაბიანმა კონსულტაციამ შეიძლება დაადასტუროს სტუდენტების განათლების მიმართ მიდგომა და ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება ბუღალტრული განათლების მდგრადობისთვის..

სწავლება:

რეკომენდაცია 3: საუნივერსიტეტო სწავლების მიდგომა შემდგომ ფოკუსირებული უნდა იყოს კომპეტენციების განვითარებაზე, ეფექტური სწავლის უზრუნველსაყოფად. არსებულ კურიკულუმებში ჩართული სასწავლო მიზნების მიდგომა ჯერ კიდევ არ არის სრულად ასახული სწავლების და შეფასების პრაქტიკაში. სწავლებისა და შეფასების პრაქტიკის შემდგომი განვითარებისას, კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების ინტეგრირებული მიდგომა სტუდენტებს მისცემს ისეთი უნარების ათვისების საშუალებას, რომლებიც მათ წარმატებულ ბუღალტრებად აქცევს.

რეკომენდაცია 4: საჭიროა სწავლების ახალი მასალების და მიდგომების შემუშავება, რომლებიც მასწავლებლებს დაეხმარება ახალი კურიკულუმების დანერგვაში. საჭირო იქნება ახალი სახელმძღვანელოები, რომლებიც ხელს უწყობს კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლების და სწავლის მიდგომას, როგორც სწავლების, ისე სწავლის მხარდასაჭერად. ციფრული მეთოდოლოგიური მხარდაჭერა უნდა შემუშავდეს აქტიური და საინტერესო სასწავლო გამოცდილების შესაქმნელად. ციფრული სწავლების, სწავლისა და შეფასების დანერგვის შესაძლებლობის კვლევა ხელს შეუწყობს ახალი კურიკულუმების შექმნას და აამაღლებს სწავლებისა და სწავლის სტანდარტებს.

რეკომენდაცია 5: საჭიროა მასწავლებლის უნარების გადრმავევა, სწავლების ახალი მიდგომების დანერგვის მიზნით. მეთოდოლოგიური მხარდაჭერა აუცილებელია კურიკულუმის საკლასო სწავლის ეფექტურ პროცესად გარდასაქმნელად. არსებობს აღნიშნულის მიღწევის მრავალი გზა, რომლებიც ფოკუსირებულია სტუდენტების მიღწევებზე. მასწავლებელთა უნარებს დასჭირდება გადრმავევა და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ტრენინგი.

რეკომენდაცია 6: სწავლების გაუმჯობესება უნდა შეფასდეს ცვლილებების ფრთხილად მართვის უზრუნველსაყოფად. ეფექტური შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს სწავლის პრაქტიკისა და სწავლის მიზნების მიღწევის მხარდაჭერას, შეიძლება მოიცავდეს სტუდენტის უკუკავშირის გადახედვას, გამოცდაზე სტუდენტის შედეგების მიზეზების გააზრებას და სტანდარტების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჩარევის უზრუნველყოფას.

შეფასება:

რეკომენდაცია 7: უნივერსიტეტებში უნდა დაინერგოს თანმიმდევრული მიდგომა სტუდენტების შეფასების მიმართ, იმისათვის რომ უზრუნველყოფილ იქნეს კომპეტენციების მიღწევა განახლებულ კურიკულუმში. შეფასების პროცედურები უნდა ასახავდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამის შინაარსსა და მიზნებს და უზრუნველყოფდეს სტუდენტების სამართლიან, სათანადო და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ტესტირებას.

რეკომენდაცია 8: უნდა შემუშავდეს საგამოცდო სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება სწავლების პროცესში ჩართულ პირებს ახალი კურიკულუმისგან მოსალოდნელი შეფასების სტანდარტების შესრულებაში. საჭიროა შეფასების ახალი სტანდარტები, რომლებიც ასახავს განახლებულ კურიკულუმში კომპეტენციების ტესტებს. გამოცდების სახელმძღვანელო იმოქმედებს, როგორც ახალი კურიკულუმის ორიენტირი ყველა მასწავლებლისთვის. საგამოცდო სახელმძღვანელოს შექმნას ასევე შეუძლია ხარისხის სტანდარტების სწავლის და გამოყენების გაძლიერება შეფასებაში. საერთო უნარების ნაკრები შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტების მასშტაბით თანმიმდევრული სტანდარტების მხარდასაჭერად.

რეკომენდაცია 9: უნდა მომზადდეს შეფასების შემუშავების ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, უნივერსიტეტების დასახმარებლად საერთაშორისო სტანდარტების შესრულებაში. ხარისხის კონტროლის სისტემები უზრუნველყოფს სტუდენტის მიღწევების ვალიდური, სამართლიანი და თანმიმდევრული შეფასების შემუშავებას. თანმიმდევრულ სტანდარტებს შეუძლია ფართო პროფესიული აღიარების ხელშეწყობა მონაწილე უნივერსიტეტებში აკრედიტებული საუნივერსიტეტო პროგრამების თვალსაზრისით. სტანდარტების დოკუმენტაციას შეუძლია ყოვლისმომცველი სახელმძღვანელოს როლის შესრულება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეფასების შესამუშავებლად, რომელსაც იყენებენ და მოელიან წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები.

რეკომენდაცია 10: საპილოტო გამოცდები უნდა შემუშავდეს, რომ მათ შეასრულონ შაბლონების როლი სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის და განისაზღვროს მოლოდინები კომპეტენციების შესაფასებელ დონესთან დაკავშირებით. საპილოტო გამოცდები უნდა განისაზღვროს განახლებული ძირითადი კურიკულუმის ყველა მოდულისთვის. საპილოტო გამოცდები ქმნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომლებიც წარმოადგენს სტანდარტს სამომავლო შეფასებებისთვის და შეიძლება მიწოდებულ იქნეს სტუდენტებისთვის მათი მოლოდინების განსასაზღვრად.

რეკომენდაცია 11: უნდა შემუშავდეს საგამოცდო კითხვების საერთო ბანკი, საერთო ძირითად კურიკულუმში კომპეტენციების და სასწავლო მიზნების შეფასების მხარდასაჭერად. საერთო შეფასების კითხვების ბანკი უზრუნველყოფს ახალი შეფასების სტანდარტების სარგებლის გაზიარებას ყველას მიერ. აღნიშნულს შეუძლია თანმიმდევრული სტანდარტების და მდგრადობის უზრუნველყოფა და შეიძლება იყოს შეფასების სტანდარტების ეფექტური და ეფექტიანი საშუალება.

მართვა:

რეკომენდაცია 12: უნდა შეიქმნას ძირითადი დაინტერესებული მხარეების ახალი სამუშაო ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობის გზით შეიმუშავებს კურიკულუმის მოდელს, სწავლების დახვეწილ მეთოდებს და შეფასების თანმიმდევრულ მიდგომას. სამუშაო ჯგუფმა უნდა დაადგინოს სტანდარტები, აწარმოოს მათი მონიტორინგი და განსაზღვროს პასუხისმგებლობები. შერჩეული ძირითადი დაინტერესებული მხარეების სამუშაო ჯგუფის შექმნა ხელს შეუწყობს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას და წახალისებს ეფექტური მონიტორინგის სისტემის შექმნას კურიკულუმის და ტრენინგის / შეფასების მიდგომების შემუშავების დროს. შეთანხმებას სამუშაო ჯგუფის წევრების წვლილის და პასუხისმგებლობის შესახებ შეუძლია განათლების რეფორმასთან დაკავშირებული წინადადებების წარმატებით განხორციელება და სტუდენტების მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

რეკომენდაცია 13: საჭიროა სისტემატური გეგმა, უფრო ფართო პროფესიული აღიარების მისაღწევად. ცვლილებების მდგრადობა საჭიროებს გაძლიერებას ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელოს შექმნის საშუალებით, რომელიც დეტალურად აღწერს კურიკულუმის შემუშავების, სწავლების სტანდარტების და შეფასებების მართვის სტანდარტებს და პროცესებს. სამუშაო ჯგუფმა უნდა განაგრძოს მუშაობა განხორციელების შემდეგ, როგორც მმართველობის და მართვის სისტემის ნაწილმა, რომელიც უზრუნველყოფს ფორუმს ბუღალტრების განათლებაში ჩართული დაინტერესებული მხარეებისა ორგანიზაციებისთვის. რეკომენდაციების განხორციელებისას ერთ – ერთი ძირითადი ასპექტი იქნება სისტემატური კომუნიკაცია პროფესიულ ორგანიზაციებთან, უნივერსიტეტებთან, IFAC– თან და სხვა საერთაშორისო ორგანოებთან, ქართული აკადემიური წრეების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პროფესიასთან უკეთ დაკავშირების მიზნით.

ამ რეკომენდაციებში ასახული პრიორიტეტული სფეროები თანმიმდევრულად, შეჯამებული და ორგანიზებული ფორმით წარმოდგენილია სამოქმედო გეგმის 1- ლ დანართში და პროექტის გეგმის მონახაზში (იხ. მე-2 დანართი).



WORLD BANK.ORG

დანართი 1. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში განათლების გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა ასახავს ამ ანგარიშის ანალიზს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მასში მოცემულია შემოთავაზებული პროექტის გეგმა მე-2 დანართით განსაზღვრული რეკომენდაციების განსახორციელებლად.


ლონისძიება	დეტალური აღწერა	შესრულების კოორდინატორი
კურიკულუმი		
1. მრავალი დაინტერესებული მხარისგან შემდგარი სამუშაო ჯგუფი (WG), შექმნის შემდეგ შეიმუშავებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთო კურიკულუმის მოდელს საერთაშორისო აღიარების მქონე პროგრამების (მაგ. ACCA, CIMA) და განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) საფუძველზე.	1. სამუშაო ჯგუფმა უნდა დაასრულოს არსებული კურიკულუმის ანალიზი და განსაზღვროს განახლების სფეროები (ნაწილობრივ დასრულებულია ამ ანგარიშში); 2. ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს კურიკულუმის მოდელი ბუღალტრული აღრიცხვის განათლებისთვის, რომელსაც, როგორც სახელმძღვანელოს, დაამტკიცებს განათლების სამინისტრო უმაღლესი განათლების ყველა დაწესებულებისთვის; 3. ჯგუფი უნდა დაეხმაროს უმაღლეს სასწავლებლებს საერთო კურიკულუმის გამოყენებაში ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამებისთვის.	განათლების სამინისტრო / SARAS/ პროფესიული ორგანიზაციები (PAO)/ უნივერსიტეტები
სწავლება		
2. მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	1. სამუშაო ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ტრენინგების რეგულარული ტრენინგი კომპეტენციებზე დაფუძნებული პროგრამის შექმნის, სწავლების და შეფასების შესახებ უნივერსიტეტის მასწავლებლებისთვის; 2. დანერგოს მოთხოვნა მასწავლებლების მიმართ პროფესიული კომპეტენციის შენარჩუნებასთან და	SARAS

		ამაღლებასთან დაკავშირებით, მაგ. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სერტიფიკატების მოპოვებით.	
3.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აღჭურვა მაღალი ხარისხის სახელმძღვანელოებით, რომლებიც მოიცავს საერთო კურიკულუმს ქართულ ენაზე.	1. ჯგუფმა უნდა განახორციელოს ხელმისაწვდომი მასალის კვლევა, მათ შორის საერთაშორისო მასშტაბით, რომელიც განახლებული კურიკულუმის შესაბამისი იქნება; 2. შექმნას სარედაქციო კომისია შესაბამისი სახელმძღვანელოების შერჩევის, თარგმნის, განხილვისა და რედაქტირების მიზნით, დონორების და პარტნიორების მხარდაჭერით. 3. გადასცეს უნივერსიტეტებს თარგმნილი სახელმძღვანელოები.	უნივერსიტეტები
შეფასება			
4.	საგამოცდო პროცედურების მოდელის შემუშავება მარეგულირებლის და პროფესიული ორგანიზაციის მოთხოვნების და კარგი საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.	1. სამუშაო ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს საგამოცდო პროცედურების მოდელი, უმაღლესი სასწავლებლების მიერ შეფასების თანმიმდევრული პროცესების გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლებიც აკმაყოფილებს მარეგულირებლის და ჩათვლის პოტენციური პროვაიდერების მოთხოვნებს. 2. სამუშაო ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს თანმიმდევრული მაღალხარისხიანი საგამოცდო პროცესის განსაზღვრას შესაბამის საგნებში საგამოცდო კითხვების ბანკების შემუშავების გზით.	სამუშაო ჯგუფი / პროფესიული ორგანიზაციები (PAO)/ უნივერსიტეტები
მართვა			
5.	ბუღალტრული აღრიცხვის განათლების სფეროში ძირითადი დაინტერესებული მხარეების (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მთავრობა, მარეგულირებელი ორგანოები, დამსაქმებლები, სტუდენტები და პროფესიული ორგანიზაციები) მონაწილეობით სამუშაო ჯგუფის	1. განათლების პროცესის მონაწილეებისთვის (მაგ. SARAS, განათლების სამინისტრო, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, პროფესიული ორგანიზაციები და დამსაქმებლები) თანამშრომლობის პლატფორმის შემუშავება, საერთო კურიკულუმში წარმოდგენილი კომპეტენციების საერთაშორისო სტანდარტებთან და კურსდამთავრებულთა	სამუშაო ჯგუფი / SARAS/ პროფესიული ორგანიზაციები (PAO)/ უნივერსიტეტები

	შექმნა მათ შორის თანამშრომლობის განმტკიცებისა და ფორმალიზების მიზნით.	დამსაქმებლების მოლოდინებთან კორელაციის მიზნით; 2. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა, პროფესიულმა ორგანიზაციებმა და დამსაქმებლებმა უნდა შეიმუშაონ საერთო ხედვა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესახებ პროფესიონალი ბუღალტრების კომპეტენციის მხარდაჭერისა და ამაღლების მიზნით; 3. ბუღალტრული განათლების პროვაიდერებმა უნდა განახორციელონ პროგრამის განახლებების კოორდინაცია, IFAC -ის განათლების სტანდარტებში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებების ასახვის მიზნით.	
6.	თანამშრომლობის დამყარება წამყვან საერთაშორისო პროფესიულ ორგანიზაციებთან პროფესიონალი ბუღალტრების (ACCA, CIPFA, CIMA, AICPA და ა.შ.) მომზადების ხელშესაწყობად.	1. შესაბამისი კვალიფიკაციის ორგანიზაციების იდენტიფიცირება, მათთან კავშირის დამყარება და თანამშრომლობა უნივერსიტეტის კურიკულუმების აკრედიტაციისა და აღიარების მიმართულებით, ჩათვლების მისაღებად.	სამუშაო ჯგუფი /პროფესიული ორგანიზაციები (PAO), უნივერსიტეტები
7.	დამობილგების პროგრამების მოძიება და შემუშავება საქართველოს უნივერსიტეტებსა და სხვა ქვეყნების წამყვან უნივერსიტეტებს შორის.	1. პოტენციური ქვეყნების და უნივერსიტეტების იდენტიფიცირება და კონტაქტის ინიცირება; 2. თანამშრომლობის შეთანხმებების მომზადება, უწყვეტი ურთიერთქმედება და გაცვლითი პროგრამების შემუშავება.	სამუშაო ჯგუფი/ უნივერსიტეტები

დანართი 2. პროექტის ვიზუალური გეგმა


აქ მოცემული პროექტის გეგმა წარმოადგენს ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების განსახორციელებლად შემოთავაზებულ წინადადებას.



დანართი 3. განათლების საერთაშორისო სტანდარტების რეზიუმე

ბუღალტრული აღრიცხვის განათლების საერთაშორისო სტანდარტების საბჭო (IAESB), როგორც სტანდარტების შემმუშავებელი, IFAC-ის დამოუკიდებელი ორგანო, ცდილობს ბუღალტრული პროფესიის გაძლიერებას მსოფლიოს მასშტაბით განათლების საერთაშორისო სტანდარტების (IES) შემუშავების და დანერგვის გზით, რაც მიზნად ისახავს გლობალური კომპეტენციის გაზრდას და საერთაშორისო განსხვავებების შემცირებას პროფესიონალ ბუღალტერთა კვალიფიკაციისა და საქმიანობის მოთხოვნებში.

განათლების საერთაშორისო სტანდარტები



IES	აღწერა
IES 1, პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამაში ჩართვის მოთხოვნები (2014)	ეს სტანდარტი ადგენს პრინციპებს, რომლებიც გამოიყენება პროფესიონალ ბუღალტერთა განათლების პროგრამებში ჩართვისთვის აუცილებელი მოთხოვნების დასადგენად და მათი ინფორმირებისთვის. ასეთ პროგრამებს უნდა ჰქონდეს ჩართვის სათანადო მოთხოვნები, რომლებიც არ იქნება ზედმეტად მაღალი არააუცილებელი ბარიერების შექმნით და არც ძალიან დაბალი. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ პროგრამის წარმატებით დასრულების გონივრული შესაძლებლობა. მაგალითად, ზოგიერთი პროგრამა მოითხოვს უნივერსიტეტის ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამთავრებას.
IES 2, საწყისი პროფესიული განვითარება-	ეს სტანდარტი ადგენს სწავლის მიზნებს ტექნიკური კომპეტენციისთვის, რომლის დემონსტრირებაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული

ტექნიკური კომპეტენცია (2021)	განვითარების პროგრამის დასრულებისას, რომელსაც ხშირად უწოდებენ თავდაპირველ პროფესიულ განვითარებას (IPD). ამ კომპეტენციის სფეროებში შედის ბუღალტრული აღრიცხვის აუცილებელი ცოდნა (მაგალითად, ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება) და სხვა ბიზნესდისციპლინები (მაგალითად, ბიზნესის სტრატეგია და მენეჯმენტი).
IES 3, საწყისი პროფესიული განვითარება - პროფესიული უნარები (2021)	საწყისი პროფესიული განვითარების კიდეც ერთი მთავარი ელემენტია პროფესიული უნარ – ჩვევები, რომლებიც საჭიროა პროფესიონალი ბუღალტრის კომპეტენციის წარმოსაჩენად. ეს მოიცავს აუცილებელი სწავლის მიზნების მიღწევას ინტელექტუალური, კომუნიკაციის, პიროვნული და ორგანიზაციული უნარების განვითარებისთვის. მაგალითად, ინტელექტუალური უნარების მიმართულებით სწავლის მიზანი იქნება არასტრუქტურულიზებული, მრავალწახნაგოვანი პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით რეკომენდაციის მომზადება.
IES 4, საწყისი პროფესიული განვითარება - პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და ქცევა (2021)	ეს სტანდარტი ადგენს სწავლის მიზნებს პროფესიული ფასეულობების, ეთიკისა და ქცევისთვის, რომლის დემონსტრირებაც მოეთხოვებათ პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატებს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას. ეს მოიცავს: სწავლის მიზნებს პროფესიულ სკეპტიციზმთან და პროფესიულ განსჯასთან დაკავშირებით; ეთიკურ პრინციპებს; და საზოგადოებრივი ინტერესისადმი ერთგულებას. მაგალითად, ეთიკური პრინციპების სწავლის შედეგია ეთიკის საკითხების იდენტიფიცირება და ეთიკური პრინციპების განსაზღვრა გამოსაყენებლად.
IES 5, საწყისი პროფესიული განვითარება - პრაქტიკული გამოცდილება (2015)	ეს სტანდარტი ადგენს მოთხოვნებს პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატი საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის ბოლოს. ამ გამოცდილებამ უნდა განამტკიცოს ტექნიკური კომპეტენცია და სხვა პროფესიული უნარ-ჩვევები, რომელთა მიღწევასაც ელიან კანდიდატები. პროფესიულ ორგანიზაციას შეუძლია რესურსებზე დამყარებული, შედეგებზე დამყარებული ან კომბინირებული მიდგომის მიღება პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნების მიღწევის შესაფასებლად. თუ გამოიყენება რესურსებზე დამყარებული მიდგომა, პრაქტიკული გამოცდილების მოთხოვნა უნდა იყოს სულ მცირე სამ წელზე გათვლილი.
IES 6, საწყისი პროფესიული განვითარება - პროფესიული კომპეტენციის შეფასება (2015)	როგორც საწყისი პროფესიული განვითარების წინაპირობა, ეს სტანდარტი ადგენს მოთხოვნებს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატების პროფესიული კომპეტენტურობის შეფასებისთვის, რომელიც შეძენილი უნდა ჰქონდეს პროფესიონალი ბუღალტრობის კანდიდატს საწყისი პროფესიული განვითარების პროგრამის დასრულებისას. შეფასება უნდა ეფუძნებოდეს გადამოწმებად მტკიცებულებებს, სანდოობის, ვალიდურობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის, საკმარისობის მაღალი დონით და შეიძლება

	მოიცავდეს გამოცდების სერიას, ერთ მულტიდისციპლინურ გამოცდას, ან გამოცდების და სამუშაო ადგილზე შეფასებების სერიას, რომლებიც განხორციელდა IPD- ს განმავლობაში.
IES 7, უწყვეტი პროფესიული განვითარება (2020)	საწყისი პროფესიული განვითარების დასრულების შემდეგ პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა განივითარონ და შეინარჩუნონ თავიანთი პროფესიული კომპეტენციის დონე უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამის (CPD) საშუალებით. ეს შეიძლება განხორციელდეს რესურსებზე, შედეგებზე დაფუძნებული ან კომბინირებული მიდგომის შესაბამისად.
IES 8, ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორების პროფესიული კომპეტენტურობა (2021)	გარიგების პარტნიორის როლის შემსრულებელმა პროფესიონალმა ბუღალტრმა (ზოგიერთ ქვეყანაში მოიხსენიება როგორც "ხელმძღვანელი პარტნიორი" ან "სავალდებულო აუდიტის განმახორციელებელი აუდიტორი") უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი პროფესიული კომპეტენცია კონკრეტული როლის შესასრულებლად. IES ადგენს სასწავლო შედეგებს გარიგების პარტნიორებისთვის. მაგალითად, აუდიტის სასწავლო შედეგია აუდიტის შესაბამისი დასკვნისა და მასთან დაკავშირებული ანგარიშის მომზადება აუდიტის ძირითადი საკითხების აღწერის ჩათვლით..



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



WORLD BANK GROUP

WORLDBANK.ORG

თბილისი, ოქტომბერი 2020